

ერეკლე გეორგის გმირობა და თავდაღება



თბილისი — 1942

3) 1942
26/5-42.
სირბი მაჟალათია
ერეკლე მარიამ გაირობა
და
თავდადება

ერეკლე მარიამ გაირობა
და
თავდადება

„გმირნო, მამულის მადიღნო,
 თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
 თქვენთა სახელთა ამაყად
 ჭარმოსთქვაშს შთამომავლობა!
 თქვენთა საქმეთა მოთხრობით
 მოზუცს ცრემლ მოედინება,
 მხნეობით აღტაცებული,
 ჰაბუჯი ხმალსა მისწედება“.

(გ. რ. ორბელიანი „სადლეგრძელო“.)

K66-294
2



ერეკლე შეორის გმირობა და თავდაღება

თანამედროვე ეროვნებათა შორის ქართველები უძველესი ერია, რომელმაც დღემდის შეინარჩუნა თავისი სამშობლოს მიწა-წყალი, ენა, ნაციონალური შეგნება და კულტურა. მისი სახელმწიფო განაკვეთი ცხოვრების ისტორია აწინდელ საქართველოს ტერიტორიაზე განისაზღვრება 2.500 წლით და ამ საკმაო ხანგრძლივ პერიოდში მან შესძლო თავდადებული ბრძოლებით დაეცვა გარეშე მტრებისაგან თავისი ეროვნული ინტერესები.

მართლაც გმირი და მამაცი უნდა ყოფილიყო ის კრი, რომელმაც 25 საუკუნის მანძილზე შეინარჩუნა ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა — ამიერ-კავკასიაში ცენტრალური და სტრატეგიულად ფრიად მნიშვნელოვანი მხარე. ეს მით უმეტეს აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში თითქმის არ ყოფილა ისეთი დიდი შემოსევები, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით არ გადაელახოს საქართველოს საზღვრები.

ამით აიხსნება, რომ საქართველოს ისტორია და მისი ხალხური შემოქმედება ასე მდიდარია გმირობისა და თავდადების ეპიზოდებით. ქართველი ერი ასეთი

რომ არ ყოფილიყო, ის ვერ გაუძლებდა ისტორიას /
იმ დიდ ქართვეხილებს, რომლებმაც გაანადგურეს კიდევთი შე
ზიკურადაც კი მოსპეს ისეთი დიდი და მრავალრიცხოვანი
ერები, როგორიც იყვნენ: ძველი სუმერები, რომაელე-
ბი, სკვითები, სარმატები და სხვა.

ქართველთა გმირობის ეპოპეა ისტორიამ და ხალ-
ხურმა შემოქმედებამ შემოგვინახა ვახტანგ - გორ-
გას ლანიდან, რომელიც ცხოვრობდა მე-V საუ-
კუნეში და გმირულად ებრძოდა შემოსეულ მტრებს:
ალანებს, ბერძნებს და განსაკუთრებით ირანელებს. ის-
ტორიამ მას უწოდა „გორგ-ასლან“ (მგელ-ლომი) და
მადლიერმა ხალხმა მას შეუქმნა მრავალი ლეგენდები
და თქმულებები.

ქართველი ხალხის ხსოვნაში ეს გმირი მეფე დღესაც
ცოცხალია და მისი გმირობის შესახებ ასე მლერიან:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა,
ოსეთი გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა“.

სამშობლოსათვის თავდადება და გმირობა ქართველ-
თა გულში არას დროს არ ჩაფერთლილა. მას აღვივებ-
და მტრის დასახვედრად მუდამ მზადყოფნა და ჩვენი
ხალხიც იარალით ხელში ყოველთვის საქართველოს სა-
გუშაგოზე იღვა. ქართველი ხალხის მესვეურები აგრძე-
ლებდნენ ვახტანგ გორგასლანის გმირულ ტრადიციებს
და ჰქონიდნენ გმირობის ახალ ეპიზოდებს.

საქართველოს ისტორიის თითოეულ ეპოქას ჰყაული
დათ და ამშვენებდნენ თავისი გმირები, რომლებიც მაც თავგანწირული ბრძოლებით შესძლეს დაეცვათ ქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი სახელმწიფო ძრივი და ეროვნული ინტერესები. ამ გმირთა პლეადას ეკუთვნის: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი სააკაძე და ერეკლე II. ამ მონოგრაფიაში შევჩერდებით ერეკლე II-ზე, რომლის სახით ერთხელ კიდევ თავი ისახელა ქართველთა ძველმა გმირობამ.

ერეკლე II იყო ნამდვილი რაინდი, მხნე მეომარი, ნიჭიერი სახელგანთქმული სარდალი, ბუნებით ღიღი დიპლომატიური ნიჭის მქონე და ამავე დროს აზიური პოლიტიკის ჩინებული მცოდნე. რუსეთის გენერალი პავლე პოტიოდე მინისტრი, რომელიც 1784 წელს ჩამოვიდა ქართლ-კახეთის სამეფოს გასაცნობად, ერეკლეს ასე ახასიათებდა: „მეფე ირაკლი შუა ტანისაა, ფიცხი ხასიათი აქვს. ლაპარაკის დროს შუბლშეჭმუხნული ძცემირება ქვემოდან, შეიძლება იმიტომ, რომ თანამოსაუბრის სახის მოძრაობას დააკვირდეს. ცოტათი წელში მოხრილია, ვინაიდან უკვე სამოცდა ორი წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედაა. ირაკლი მეფე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც ისე შეუძლიათ პასუხის მიცემა, რომ პოც გამოდიოდეს და არაც. ესაა არა-ჩვეულებრივი ჭიუის აღამიანი, იშვიათად მომთმენი და გასაოცრად მომქმედი. მთელი ღამეები ფხიზლობს, ვინაიდან თვითონ ხელმძღვანელობს თავის სახელმწიფოს საქმეებს; ცოტა სძინავს. აზიურ პოლიტიკას კარგად



იცნობს საკუთარი გამოცდილებით. ცდილობს თავისუფალი ერი ევროპიულად მოაწყოს"-ო.

ასევე ახასიათებს ერეკლეს კავკასიის ახალი ისტორიის ცნობილი რუსი მქვლევარი პ. ბუტკოვი, რომელიც ამბობს, რომ მეფე ერეკლეს თავის ხანვრძლივ მეფობაში ახასიათებდა დიდი ჭიათურა, სულიერი სიმხეები, მამაცობა და გმირობაო.

ერეკლეს ძლიერებამ და დაუღალავმა მკლავმა ქართველებს კვლავ აღუდგინა მე-18 საუკუნეში სახელი და პატივი. იგი სახელგანთქმული სარდალი იყო და ამიტომ არა მარტო კავკასიაში, არამედ შორეულ ქვეყნებშიაც სასახელო შეიქმნა ერეკლესებური ვაჟკაცობა, ერეკლესებური სარდლობა. ქართველი ახალგაზრდობისათვის ის წარმოადგენდა ცოცხალ მაგალითს რაინდობისა და სამშობლოსათვის თავდადებისას.

ამიტომ ქართველმა ხალხმა იგი დასახა უძლეველ გმირად, დაადარა მთელ კახეთს და უწოდა მას „პატარა კახი“. ამ პატარა კახის გმირობით აღტაცებული, ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბეგლი ამბობს:

„აპა ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი!
წარბ-შეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ მოწვდონით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით,
ბრძოლა წამსავე გარდაწყდებოდა!“.

მაგრამ სანამ ჩვენ შევეხებოდეთ ერეკლეს მოღვაწეობის საგმირო საქმიანობას, საჭიროა მოქლედ დავა-

ნასიათოთ ის საერთო სოციალ-ეკონომიური და პოლი-
ტიკური გარემო, რომელმაც წარმოქმნა ერეკლეს ფინანსურული
რეული სახე.

ცნობილია, რომ გმირს წარმოშობს გმირული ეპო-
ქა, როდესაც ერს უხდება სამკვდრო-სასიცოცხლო
ბრძოლების წარმოება ყოფნა-არყოფნისათვის, ნა-
ციონალურ და სახელმწიფო ბრძივი დამოუკიდებლობის
შენარჩუნებისათვის. ასეთ განსაცდელის უამს სამშობ-
ლო მოითხოვს თავდადებას და გმირობას.

ასეთმა მღელვაზე ეპოქაში წარმოშვა მე-18 საუკუნე-
ში ერეკლე, რომელმაც თავდადებული ბრძოლებით შე-
სძლო ქართველი ხალხის ნაციონალური ინტერესების
დაცვა.

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებ-
ლობა მე-17—18 საუკუნის მიზნაზე განსაცდელში იყო.
სახელმწიფო ბრძივი მთლიანობა ამ დროს უკვე დაიშა-
ლა და დაქუცმაცებული საქართველოს სამეფოები და
სამთავროები განიცდიდნენ ოსმალეთ-სპარსეთის პო-
ლიტიკურ ბატონობას. ორივე ეს საქართველოსადმი
მტრულად განწყობილი სახელმწიფო იბრძოდნენ სა-
ქართველოს დასაპყრობად, რომ ამით ხელში ჩაეგდოთ
შავი და კასპიის ზღვის სანაპიროები და აქედან მიმავა-
ლი სავაჭრო გზები.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით
და სტრატეგიული მნიშვნელობით წარმოადგენდა ევ-
როპა-აზიის გზას და ხიდს. ამის გამო საქართველო გა-
დაიქცა ოსმალეთ-სპარსეთის საომარ ასპარეზად. მაგ-
რამ ბატონყმური საქართველო მოკლებული იყო პო-
ლიტიკურ ძლიერებას, ის ვერ ახერხებდა სპარსეთ-
ოსმალეთისათვის იარაღით სათანადო წინააღმდეგობის



გაწევას. ამისათვის მას არ გააჩნდა არც ჭარი და კულტურული იარაღი. ამის გამო საქართველოს მეფე-მთავრები პატივით ლებულნი იყვნენ ეწარმოებინათ თავდაცვითი და მოგერიებითი ბრძოლები. ისინი დიპლომატიური ხერხებით ცდილობდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას, ხშირად კი გარეშე ძალთა უაღრესად მოწოლის პერიოდში გადადიოდნენ ხან ოსმალეთისა და ხან სპარსეთის მხარეზე. მე-16 საუკუნიდან აღმოსავლეთი საქართველო მოვქცა სპარსეთის ხელქვეით, დასავლეთი და სამხრეთი საქართველო კი მოჰყვა ოსმალეთის დამოკიდებულებაში.

ოსმალების გაძლიერებამ მე-15 საუკ. მეორე ნახევრიდან საქართველო მოსწყვიტა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს; ოსმალებმა მაგრა ჩაკეტეს შავი ზღვის სანაპიროები და ამან ფრიად შეასუსტა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. ამასთანავე ოსმალეთი გართული იყო ბრძოლებით, რაც მოითხოვდა დიდალ ფულს და იარაღს და ამიტომ ოსმალეთის მთავრობა მოსახლეობას ბეგრავდა სხვადასხვა გადასახადებით.

სპარსეთის ახალი გაძლიერებამ მე-16 საუკუნის და-საწყისიდან იწყება. სპარსელების მრავალი შემოსევებით ქართლ-კახეთი განადგურებული შეიქმნა. მეურნეობა დაეცა, მოსახლეობა შემცირდა, კახეთი 1615—1616 წლებში შაპ-აბაზმა თითქმის მთლიანად ამოწყვიტა, ანდა მისი მოსახლეობის ნაწილი სპარსეთს გადაასახლა. ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან ლეკიანობის შიშით თითქმის მოისპო. ამას ემატებოდა ის ხარკიც, რომელსაც სპარსეთის შაპები მოითხოვდნენ ქართლ-კახეთისაგან და ამან კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააგდო ქართლ-კახეთის მოსახლეობა.

კიდევ უფრო მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პიროვნეულობებში მოქმედა სამხრეთი საქართველო; დელი საათური და გო, რომელმაც ეკონომიკურ განადგურებასთან შე-17 საუკუნის დასასრულში დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ქრისტიანული რწმენა და გამაპმადიანდა, საქართველოს დანარჩენ ნაწილებს ჩქარა ტერიტორიულადაც მოწყდა და დაადგა გადაგვარების გზას.

ძლიერ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართლ-კახეთი მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ლეკებმა ოსმალების წაქეზებით და დახმარებით დაიწყეს განსაკუთრებით ძლიერი გამანადგურებელი თარეშები. ლეკებმა ხელში ჩაიგდეს კახეთის სიმაგრეები, ისინი ცტაცებდნენ საქონელსა და ტყვეებს. ლეკიანობისაგან მრავალი სოფელი ამოწყდა, როგორც კახეთში, ისე ქართლშიც. მოსახლეობა გარბოდა, რომ თავი დაეღწია ტყვეობისა და ფიზიკურ განადგურებისაგან. ამ ხანებში იყო, რომ მთელი ქიზიყი და ალაზნის გაღმა მხარე ლეკებმა ჩაიგდეს და იქ დასახლდნენ. კახეთიდან ლეკების თარეში გუნდ-გუნდად გადაღიოდნენ ქართლის ყველაზე მჭიდრო დასახლებულ ადგილებზე და იქ მოსახლეობას არბევდნენ, ცარცვავდენ და ტყვედ მიჰყავდათ. თბილისის სამხრეთი მხარე და თრიალეთი (წალკა) ქართულ მოსახლეობას ჰქარგავდნენ. საერთოდ შართლ-კახეთში ლეკების შიშით გლეხობა ვერ ბედავდა თავისუფლად ყანის სამუშაოზე გასკლას და ამის გამო მეურნეობა ნადგურდებოდა. ლეკების რბევის გამო გახშირდა ტყვეების გაყიდვა ოსმალებზე, რაც მოსპობის გზაზე აყენებდა. ისედაც შემცირებულ მოსახლეობას.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა კანკელიანი
თი, როდესაც ფშავში გახიზნული თეიმურაზ II და აჭარის მთავრობის
სი შვილი ახალგაზრდა ერეკლე შეუდგნენ კახეთის გან-
თავისუფლებას ოსმალების ბატონობისაგან და ლექე-
ბის თარეშის მოსპობას. ამ მიზნით თეიმურაზმა ალა-
ვერდში ჩამოგზავნა ერეკლე, თვითონ კი მოვიდა თე-
ლავს და აქ შეკრიბა ლაშქარი. საჭირო იყო პირველ-
ყოვლისა ქიზიყისა და გაღმა კახეთიდან ლეკების გან-
დევნა და ეს დავალება იკისრა ახალგაზრდა 15 წლის
ერეკლემ, რომელიც მცირე რაზმით თავს დაესხა 1733
წელს ლეკების ჯარს ნეიშინის ველზე და ლეკები სას-
ტიკად დაამარცხა. ამის შესახებ ისტორიული — მდი-
ვნებეგი ომან ხერხეული დე მოვითხრობს: „მა-
შინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15,
რომელმან შემოიყარა სოფლებიდამ ჯარი, ეწია (ლე-
კებს) ნეიშინის მინდორში და ძლიერად შემოებნენ ლეკ-
ები. გარნა თვით ეს ყრმა ირაკლი მეორედ შევიდა ში-
ნაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოქლა კაცი
და ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივი-
ლით და წინა-წარიქვთის ჯარი ლეკისა და მოსწყვიტეს
უმრავლესნი“-ო.

ეს იყო ერეკლეს პირველი ლაშქრობა და გამარჯვე-
ბა, რომლის შემდეგ თეიმურაზი და ერეკლე შეუდგნენ
აქტიური პოლიტიკის წარმოებას ქართლ-კახეთის სახელ-
მწიფოს აღსადგენად და მისი გასანთავისუფლებლად
უცხოეთის ბატონობისაგან.

ქართლ-კახეთში ამ დროს ბატონობდა ოსმალეთი,
რომლის დასამარცხებლად საჭირო — იყო მის მოქიშპე
ძალაზე დაყრდნობა. ასეთ ძალას წარმოადგენდა სპარ-
სეთი, სადაც იჭდა ძლიერი ნადირ-შაჰი. ოსმალეთის

სულთანმა 1744 წელს გამოგზავნა დიდი ხაზინა  ახალციხის ფაშას დაავალა ეს ხაზინა ლეკების ბეჭუნიანული დის მალაჩისათვის ჩაებარებინა, რომ ლეკებს ქართლ-კახეთის დარბევა განეგრძოთ. მალაჩია ამ დროს საქართველოში იყო და მას თან ჰყავდა 2000 მეომარი. მალაჩიამ მიიღო ხაზინა და თავისი ჯარით გამოიარა ქართლში, რომ არავის ხეობით გადასულიყო დაღესტანში. ერეკლემ მალაჩიას ეს განზრახვა დროზე გაიგო და მაშინვე გაეშურა გზის შესაკვრელად. ერეკლე მალაჩიას ჩაუსაფრდა არავის მარცხენა ნაპირას, საგურამოში. ლეკებმა იწყეს არავში გაცურვა და ამ დროს მოულოდნელად მათ თავს დაესხა ერეკლე. მან გასცურა არავი, ეკვეთა მტერს და მისმა გასროლილმა პირველმა ტყვიამ მალაჩიას გული გაუპო. მეფის მაგალითით გამხნევებულმა ქართველმა ლაშქარმა შეუტია მტერს და ლეკოსმალნი შეშინდნენ და გაიქცნენ, მხოლოდ მათმა მცირე ნაწილმა ძლივს-ღა მიაღწია ახალციხემდის.

ჩქარა დაიწყო ბრძოლები ოსმალეთსა და სპარსეთს შორის და გაძლიერებულმა ნადირმა ოსმალები აიძულა დაეტოვებინათ ყარსი. 1735 წელს ოსმალებმა დასცალეს თბილისიც, სადაც დიდი ზეიმით შემოვიდა ნადირ-შაპი. თეიმურაზი და ერეკლე გადავიდნენ ნადირის მხარეზე და მასთან შეთანხმებით მოქმედებდნენ ოსმალების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში ნადირის ყურადღება მიიქცია ახალგაზრდა ერეკლეს მამაცობაშ და ნიჭმა და მან იგი სპარსეთში გაიწვია. ნადირმა ერეკლეს თანხლებით გაიღაშქრა ინდოეთზე, რომელიც მეამბოხე ცვლანელების თავშესაფარი იყო და ამის გამო 180.000 კაცით ნადირმა 1738 წელს აიღო ინდოეთის ქალაქები

და ხელში ჩაიგდო აურაცხელი ნადავლი, რომლის წერილი მოსალებად დასჭირდა 13.000 ცხენი და ჯორი. ინდოეთის ეთში ლაშქრობა გაგრძელდა ორი წელიწადი და მას შემდეგ ხელში ლაშქრობაში ერეკლე ნადირ-შავთან ერთად იბრძოდა და მიიღო კარგი გამოცდილება სამხედრო საქმის ცოდნაში ისეთ დიდ და ნიჭიერ სარდალთან, როგორიც იყო თვით ნადირ-შავი.

ერეკლემ ინდოეთის ბრძოლებში თავი ისახელა მამაცობით და გულადობით და ამის გამო ნადირი დიდად აფასებდა ახალგაზრდა ერეკლეს სამხედრო ნიჭისა და გამჭრიასხობას.

ინდოეთის ლაშქრობის დამთავრების შემდეგ 1739 წელს ნადირმა ერეკლე საქართველოში გამოისტუმრა.

1748 წელს ნადირ-შავი მის მიერ დამყარებული საშინელი ტირანიის გამო მოჰკვდეს. ნადირ-შავის მოქვლის შემდეგ სპარსეთი მოიცვა საშინელმა ანარქიამ, გაჩნდნენ ყაენის ტახტის სხვადასხვა მაძიებელნი, რომლებიც ერთმანეთს ხოცავდნენ.

სპარსეთის ასეთი მდგომარეობით ისარგებლა ერეკლემ და დაიწყო აქტიური პოლიტიკის წარმოება ამიერკავკასიაში და ჩრდ. სპარსეთის მიმართ. ამ დროს სპარსეთისა და მისი ხელისუფლების ძლიერების დაცემის შემდეგ მოისპო ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელშიაც მანამდის ქართლ-კახეთი იმყოფებოდა სპარსეთისაგან. და ახლა ქართლ-კახეთის მეფეები თეომურაზი და ერეკლე თავს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდნენ სპარსეთისაგან და შეტევით პოლიტიკას აწარმოებდნენ მეზობელ სახანოების მიმართ.

ერევნისა და განჯის სახანოების დამორჩილების შემდეგ ერეკლემ განიზრახა გაელაშქრა თვით სპარსეთში,



საღაც მძლავრობდნენ სხვადასხვა უზურპატორები (საბა
ხელმწიფო ძალა-უფლების მიმთვისებელნი) და საქართველო
გამეფებული იყო საშინელი ტერორი. სპარსეთის ასე-
თი მდგომარეობა ხელს უშლიდა ქართლ-კახეთის მო-
სახლვრე სახანოებში მშვიდობიანობის დამყარებას და
საფრთხეს უმზადებდა ერეკლეს პოლიტიკურ გავლენის
განმტკიცებას აზერბაიჯანის სახანოებში. ამიტომ 1751
წელს ქართლ-კახეთის გარი ერეკლეს მეთაურობით გაე-
მართა სპარსეთისაკენ. გარისკაცებს ნიშნად გაკეთებუ-
ლი ჰქონდათ ჯვრები, როგორც ქრისტიანობის ემბლემა
და ეს ამ ლაშქრობას აძლევდა ჯვაროსანთა სახეს.
ერეკლემ გაილაშქრა თავრიზის მიმართულებით და
აქედან იგი ემზადებოდა შიგ სპარსეთში წასასვლელად.
მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც ამ დროს
არზის გამოღმა გადმოვიდნენ სპარსეთში შერჩენილი
ავლანელები და შეესივნენ ნახიჩევანის მხარეს ერეკ-
ლამდის, რომელიც იმყოფებოდა ერეკლეს მფარველო-
ბაში.

ავლანელებთან შეთანხმებით ამოძრავდნენ ლეკე-
ბიც, რომლებიც კახეთს დარბევით ემუქრებოდნენ და
ამის გამო ერეკლე იძულებული შეიქნა დაბრუნებუ-
ლიყო თბილისში.

ავლანელების წინამძღოლმა აზატ-ხან მა მოკლე
ხანში აიღო თავრიზი და 1752 წელს იგი შემოვიდა
აზერბაიჯანში 40.000 მეომრით. გარის ერთი დიდი რაზ-
მი მან შეუსია ერევნის სახანოს, რომელიც მის მამას
ქართლის მეფეს თეიმურაზ II-ს ემორჩილებოდა და
ყოველწლიურად იხდიდა 40.000 მანეთს. ამ რაზმა მო-
ოხრა ერევნის მიღამოები და ალყა შემოარტყა ერევ-
ნის ციხეს.

ერევნის ხანმა, როგორც თეიმურაზ-ერეკლეს ქვეყნის შეცრდომმა, მეფეებს შეატყობინა აზატ-ხანის თავის მიერთებით სხმაზე და ითხოვა დახმარება. ერეკლე 5.000 მეომრით გაეშურა ერევნისაკენ. მეფემ დაამკევინა ყანები, გაალეწვინა მოსავალი და 10.000 ფუთი პური მიაწოდა დამშეულ ერევნელებს. შემდეგ შარურის იალალებზე დადგა და აქედან გაუსია ჭარი და მოაოხრებინა არეზის აქეთი მხარე.

აზატ-ხანს ჰყავდა 18.000 შუბოსანი და 14 ზარბაზანი. ეს თავისი ჭარი მან გააწყო გარნისის ნაპირას. ერეკლე თავისი რაზმით, რომლის რიცხვი 3000 კაცი იყო, იდგა ყარა-ბულალის მთაზე, საღაც აზატ-ხანიც აპირებდა მოსვლას. მალე ყარაულებმა მეფეს მოახსენეს, რომ მტერი გვიახლოვდებაო. მაშინ მეფემ ჭარი განაწყო საომრად. მოწინავე ჭარს სარდლობდა რევაზ ორბელიანი, შუა გული ეკავა ერეკლეს, რომელიც ჭარს ზურგით უდგა და ხელმძღვანელობდა. მეფემ ბრძანება გასცა, რომ პირველად საომრად მისულიყო მეწინავე ჭარი. ავღანელებმა წინ წამოიწიეს და გაჩაღდა დიდი ბრძოლა, რომელშიაც ორივე მხარე დიდად დაზარალდა. თუმცა ჭერ ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ბოლოს გერ გაუძლეს ავღანელების ძლიერ შემოტევას და ქართველთა მემარცხენე რაზმი გამოაქციეს. ამის გამო ქართველებმა უკან დაიხიეს და ერთ მალლობზე გამაგრდნენ. აზატ-ხანის ჭარი შეტევაზე გადმოდიოდა. ერეკლემ მტრის დიდი ჭარი რომ დაინახა, ცხენიდან ჩამოხტა და სასწრაფოდ მოახდინა სამხედრო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა სარდლებმა. მოთათბირეთა უმრავლესობა ერეკლეს ურჩევდა დაბრუნებას, მაგრამ მან ეს წინადადება არ მიი-

ღო. როგორც ისტორიული თმან ხერხეულ რძე
მოგვითხრობს, ერეკლემ თავისიანებს ასეთი სიტყვა აჭრიდა
მიმართა:

„იცოდეთ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავდგე-
ბი, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან
და უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი ჰსჯობ-
სო; ეს უკველამ უწყის, რომ სიკვდილის შვილნი ვართ
და ჩვენს გვარსა და სახელსა ორის დღის სიცოცხლი-
სათვის ნუ მოვაყივნებთ-ო (ნუ გავაფუჭებთო). დაა-
მტკიცეს ომი პირისპირ და (ერეკლეც) წარვიდა ორის
ათასის კაცითა აზატ-ხანის შესაბმელად და მცირედი
რა წარვლეს, იქით მხარესაც გამოჩნდა აზატ-ხანის ჭა-
რი დასტებად: მაშინ გარდახტა ირაკლი და უთხრა
მხედრობათა: „ჩემნო ძმანო და შვილნო, თქვენ ჩემის
განძლიერებისა და ჩემის გულისათვის იხოცებით და
მე ღმერთთან თქვენი მოვალე ვარო და დღეს რაც მე
გითხარით ის დამიჯერეთ და სისხლსა თქვენსსა მე
ვინდობო“. მაშინ მხედრობამ ერთ პირად მოახსენა:
„მეფეო და დიდებაო ჩვენო, სისხლი ჩვენი თქვენთვის
შემოგვიწირავს და ბრძანებასა თქვენსა ვერჩით და ნე-
ბასა თქვენსა აღვასრულებთო“.

ამ დროს გამოჩნდა აზატ-ხანი, რომელსაც ერთმა
ხანმა მოახსენა: „დასტურ მეც, რათა წარვიდე და მეფე
ირაკლი ცოცხლივ შეპყრობილი მოგართვა“-ო. აზატ-
ხანს ეს გაუხარდა, ნება მისცა და ხანიც ცხენს მოახ-
ტა, ქართველ ლაშქარს მიუახლოვდა და დაიძახა: „ჰა-
მამან ჰანიერ ირაკლი ხანი“-ო. (სად არის ირაკლი მე-
ფეო). ერეკლე მაშინვე გამოუხტა და შესძახა: „მე ვარ
მეფე ერეკლეო“. მაშინვე თოფი ესროლა და ხანიც
იქცე მკვდარი დაეცაო. ერეკლე მეფე სწრაფად შეახტა

თავის მერანს და ლაშქარს მოუწოდა ბრძოლისაკენ. 
ქართველები გმირულად ეკვეთნენ მტერს, და მტკიცნა მომა-
ორი ათასი კაცი იქვე ბრძოლის ველზე გაიცლიტა. აზატ-
ხანის მხედრობას თავზარი დაეცა. ერეკლე ხმალ ამო-
ლებული პირველი აფრენდა თავის მერანს და ჯარს ხმა-
მალლა მოუწოდებდა მტრის შესამუსრავად. აზატ-ხანი
იძლია და გაიქცა. ამ ბრძოლაში ერეკლემ გამოიყენა
ცხენოსანთა რაზმები და მან კარგად იცოდა, რომ ცხე-
ნოსანთა ჯარის გამარჯვების ერთი მთავარი პირობათა-
ვანი იყო მოძრაობის სისწრაფე. ერეკლეს მეთაურო-
ბით ეს ცხენოსანთა რაზმები ხელში ამოწვდილ ხმალ-
ხანჯლებით ხოცავდნენ აზატ-ხანის ურდოებს. ქართველ-
მა ლაშქარმა ძლეულ მტერს სდია ორმოცი კილომეტ-
რის მანძილზე. ქართველებს დარჩათ მტრის მთელი ბა-
ნაკი, თოვები, ზარბაზნები და სხვა ნადავლი.

ამ გამარჯვებამ ღიდი სახელი და გავლენა მოუპოვა
ერეკლეს. მოსალოდნელი იყო მის მიერ პირველობის
ჩაგდება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და აგრეთვე
სპარსეთის სახელმწიფოს ჩრდილოეთ ნაწილში. მაგრამ
ქართველების ასეთი გაძლიერება უკმაყოფილებას იწ-
ვევდა მაჰმადიან სახანოებში. ამის გამო აზერბაიჯანის
ხანები, რომლებიც წინად ერეკლეს სთხოვდნენ მფარ-
ველობას და დახმარებას, ახლა უნდობლად უცქეროდ-
ნენ ერეკლეს და ამ ნიადაგზე დაიწყო მათში ერეკლეს
საწინააღმდეგო მოძრაობა, რათა მაჰმადიანობა გაენთა-
ვისუფლებინათ ქართველ ქრისტიან მეფის მძლავრები-
საგან.

ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა შაქის ხანი ჰაჯი-
ჩელები, რომელსაც კავშირი ჰქონდა დალესტნის
ლეკებთან და მათთან შეთანხმებით მოქმედებდა.

ჰავი-ჩელებმა შეკრიბა დიდი ჭარი და მიაღვა განჯას.
ერეკლემ გაილაშქრა განჯაზე. საქმე პირველად კარგად
მიდიოდა, მაგრამ მას აქ გადუდგნენ აზერბაიჯანის ერეკლების
ნები, რომლებიც მიემსრნენ ჰავი-ჩელებს. ამის გამო
ჰავი-ჩელებთან პირველ შეტაკების დროსვე ქართლ-კა-
ხეთის ლაშქარი დამარცხდა და უკან დაბრუნდა. მაშინ
ერეკლემ გადმოიყვანა დაქირავებული ჩერქეზთა ჭარი
4000 კაცი და 1752 წელს გაილაშქრა ყაზახზე, სადაც
იდგა ჰავი-ჩელების ჭარი.

ამ ბრძოლას პაპუნა ორგელიანი ასე აგვი-
წერს: „გაჭდა უკეთესსა ცხენსა მეფე ერეკლე, ჰერა
მათრახი და წავიდა, ვითა შავარდენი. ყაზახისა და შამ-
შადილის სამძღვარში რომ ჩავიდა აჯი-ჩალაბის შვილი,
მოეწია მეფეს ერეკლეს. რა ცნეს ჭარის მიწევა, დად-
გნენ და შემოებნენ. ასე ძალიან მოინდომეს (ომი), რომ
სახმლოდ შიგ ჭარში შემოვიდნენ. მეფემ ერეკლემ
იწყინა, მობრძანდა თვითონ, მიუძღვა ჭარს და ვითა
ლომი ეგრე მიესივა, გაერივა ხმალ-და-ხმალ. ამის მნახ-
ველი ვინდა დადგებოდა უომრად. გააქცივეს აჯი-ჩალა-
ბის შვილი და განჯის ხანი“-ო.

ამ ბრძოლაში ჰავი-ჩელები სასტიკად დამარცხდა და
ამიტომ ერეკლემ ისევ შემოიმტკიცა განჯა-ერევანი და
ყაზახი. ბორჩალოც ქართლ-კახეთს დარჩა. ამ გამარჯვე-
ბამ თვალსაჩინოდ გააძლიერა ერეკლეს პოლიტიკური
გავლენა ამიერ-კავკასიაში და მას მოუპოვა საკმაო დი-
დი სახელიც.

სპარსეთისა და ამიერ-კავკასიის საქმეებს ამ დროს
თვალყურს აღევნებდნენ დასავლეთ ევროპაშიც და
ერეკლეს პოლიტიკურ მოღვაწეობას ირანის მდგომა-
რეობის მოწესრიგების საქმეში დიდ მნიშვნელობას

აძლევდნენ. ერეკლეს ბრძოლებზე და გამარჯვებებზე
 სწერდნენ ევროპის გაზეთებში.

1753 წელს პარიზში გამოვიდა წიგნი საფრანგეთის
 ყირიმელ ელჩის პეისონე ლისა „სპარსეთისა და
 საქართველოს ეხლანდელი არეულობათა შესახებ“. ამ
 წიგნის ავტორი დაინტერესებული იყო ქართლ-კახეთის
 სამეფოს გამოყენებით საფრანგეთის სავაჭრო კაპიტა-
 ლის გზის გასაკაფავად სპარსეთსა და აღმოსავლეთის
 ბაზრებისაკენ. ამის გამო იგი დიდი სიმპატიით უყუ-
 რებდა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ეს, რომელსაც
 სთვლიდა ევროპიელებისა და ფრანგების მომხრედ და
 მასზე ამყარებდა იმედებს საფრანგეთის სავაჭრო კაპი-
 ტალის გასაძლიერებლად სპარსეთში.

ავტორი ეხება ერეკლეს როლს სპარსეთის ამბებში
 და აღნიშნავს მის არა ჩვეულებრივ გაძლიერებას:
 „პრინცი (მთავარი) ერეკლე, ამბობს პეისონე ლი,
 თუმცა ძლიერ დაშორებულია სპარსეთის გვირგვინს,
 რომელსაც მას სძლვნიან, მაინც არის იმდენად დიდი
 მთავარი, რომ არ ითვლებოდეს მარტო რომანების გმი-
 რად, როგორც ის გამოჟყავთ ყოველდღე (ევროპაში).
 ეს მთავარი არის ყველა იმათი აზრით, ვინც მას იც-
 ნობს, ყველაზე უფრო სრული პიროვნება, როგორიც კი
 კიდევ გამოჩენილა აღმოსავლეთში. ის არის 27 წლის.
 მისი ფართო ბუნებას ავსებს ხნოვანებასთან შედარე-
 ბით მისი მეტი ჭკუა, დიდი გამოცდილება, შეუდარე-
 ბელი მამაცობა, მუდმივი სამართლიანობა და განუსაზ-
 ღვრელი ლმობიერება. ეს ღირსებები მას ხდიან თავისი
 ხალხების და ჭარისკაცების სათაყვანებელ კურპად, მე-
 ზობლების საკვირველებად და მტრების რისხვად. თა-
 ვის მოპყრობაში და ტანისამოსის ხმარებაში ის არის

მარტივი და უბრალო, მაგრამ მთელს მის პიროვნებაში
გამოსჭვივის დიდებულების იქრი, რომელიც გვმჩნდათ
ნებს, რომ ის არის ხელმწიფე სასახლეში და სარდალი
თავის ჯარში. რატომ არ უნდა ვიცოდეთ ჩვენ ისეთი
მთავრის (ერეკლეს) შესახებ, რომელიც ამასთანავე
ფლობს ორ დიდს სამეფოს — საქართველოს და
სპარსეთის სომხეთს და რომელსაც აქვს ის უპირა-
ტესობა, რომ უფროსობს აღმოსავლეთის ორს ყველაზე
უფრო მამაც ხალხს. ამ ორ ხალხის წაყვანა შეუძლია
თავისი მთავრისადმი სიყვარულს"-ო.

ევროპაში იმდენად იყვნენ დაინტერესებული ერეკ-
ლეს პიროვნებით, რომ ეს წიგნი მეორე წელსვე გადაი-
თარგმნა ფრანგულიდან გერმანულ ენაზე და კიდევაც
დაიბეჭდა გერმანიაში. გამოჩენილმა გერმანელმა დრა-
მატურგმა და კრიტიკოსმა ლესინგმა, თავის „მინა
ფონ ბარნჰელმში“ ერეკლე დასახა „მამაც ვაჟქაცად,
რომელმაც სპარსეთი მოსდრიკა და დღეს თუ არა ხვალ
თურქეთის კარიბჭეში შეიჭრება"-ო. ზოგიერთი გერმა-
ნელი მხედრები, რომლებიც სახელის მოხვეჭაზე ოც-
ნებობდნენ, საქართველოში გამოპარვას აპირებდნენ
თურქე „რათა მისი უმაღლესობის პრინც ირაკლის
მთავარსარდლობის ქვეშ ორ-სამჯერ მაინც გაილაშქრონ
თურქების წინააღმდეგ"-ო.

ერეკლე II ევროპაში იმდენად პოპულარული ყო-
ფილა, რომ პრუსიის მაშინდელ მეფეს ფრიდრიხ დიდ-
საც კი ეთქვა, რომ ევროპაში მე ვარ პირველი და აზია-
ში კი ერეკლეო.

„ნიბი
საქონლები
შემოვალი
შემოვალი“

აღმოსავლეთში ერეკლეს უწოდებდნენ „ნიბი
ლომს“. ამის შესახებ ომან ხერხეულიძე თხრობს ერთ ეპიზოდს:

„აღსიხის (ახალციხის) ფაშა სულეიმან მარადის აბეზლებდა ხონთქართან მეფეს ირაკლის და მას უჩიოდა ხვანთქართან დარბევასა და შეწუხებას. ამისათვის წარავლინა ელჩი თავისი ხვანთქარმან ერანის მეპატ-რონის ქარიმ ხანისა-თანა და შეუთვალა მას: «თუმცა ჩვენსა და თქვენს შორის არის მშვიდობა, რამეთუ ზავ-გვიყოფიეს. გარდა ეგრეთცა აღგიშვია ერთი ლომი (რომელ არს საქართველოს ვალი, ე. ი. მმართველი) რომელ აოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა და ამის-გამო იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინანი, რომლი-სათვის მაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესე ვითარისა მძლავრებისაგან».

„ხოლო მსმენელი ამისი ქარიმ-ხან ეტყოდა ვეზირთა თვისთა და ადრიბეფანისათა ხანებთა, რომელნიცა აბეზლებდენ მეფესა ირაკლის: «შეხედეთ მეფეს ირაკლის, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდესო, რაც ჩემთვის უმსახურია, იმას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის, რომელ ხონთქარი დააჩიქა და ჩემთან აჩივლებსო, ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისაგან დიდად პატივსაცემელი არისო».

იმ ეპოქის რუსი ისტორიკოსი ბუტკოვი ამბობს: „ერეკლე მეფემ თავისი წარჩინებული გონებით, პირადი სულიერი მღვიძარებით, უშიშროებით, სიმამაცით და სპარსეთში მომხდარ ხშირ ცვალებადობათა ხელმარჯვედ გამოყენებით ისეთ მნიშვნელოვან სიმაღლეზე აიყვანა საქართველო, რომ ეს ქვეყანა ცნობილი გახდა მეზობელ სახელმწიფოებისათვისო“.

რუსეთის მთავრობის საგანგებო რწმუნებული ი აზრ-
კოვი წერდა: „მეფე ერეკლე ნიჭიერი სარდალია ადგინებული
წარჩინებული მხედარი. ყოველთვის დამბაჩით ან თო-
ფით შეიარაღებული დადის და ოში ქართველ ჯარს
გულადობის მაგალითს აძლევს, — იგი ხმალამოწვდილი
პირველი იქრება მტრის რაზმში“-ო.

ქართლ-კახეთის მეფის გაძლიერება შიშს იწვევდა
ახალციხის საფაშოში, მით უმეტეს რომ ერეკლე მიზნად
ისახავდა სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლების ოსმა-
ლების ბატონობისაგან. ოსმალეთის მიერ დაპყრობილი
სამცხე-საათაბაგოში მცხოვრები ქართველები კულტუ-
რულად მოწყვეტილი იყვნენ საქართველოს დანარჩენ
ნაწილებს, ძველი მესხეთი აშკარად აღგა გათურქების
გზას. ის ჰკარგავდა ეროვნულ შეგნებას, ენას და რწმე-
ნას. ამის გამო სამცხე-საათაბაგოს შემოერთების სა-
კითხი ერეკლე II-სათვის გადაიქცა ერთ-ერთ მნიშვნე-
ლოვან პოლიტიკურ საკითხად.

ამ მიზნით ერეკლემ 1768 წელს მიმართა რუსეთს
და სოხოვა მას დახმარება დასავლეთ-სამხრეთ საქარ-
თველოს განსათავისუფლებლად ოსმალეთის ბატონობი-
საგან. რუსეთის მთავრობა ამ დროს ემზადებოდა ოს-
მალეთთან საომრად და მას განზრახვა ჰქონდა თავისი
აგრესიული მიზნებისათვის გამოეყენებინა საქართვე-
ლო და აქ გაეჩაღებინა ბრძოლის ერთ-ერთი ფრონტი.
თვითმპყრობელური რუსეთი გასავალს ეძებდა. შავ
ზღვაზე და ამისათვის აუცილებელი იყო შავი ზღვის
სანაპიროების დაპყრობა და იქიდან ოსმალების გან-
დევნა.

1768 წლის დასასრულს გამოცხადდა ომი რუსეთსა
და ოსმალეთს შორის და ერეკლემ განიზრახა ესარგებ-

ლა ამ შემთხვევით, რათა შემოერთებინა მესხეთ-ჭავახე /
თი. წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, არამასშილე
ამ ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიეღო ერეკლეს,
რომლის დასახმარებლად მეფის რუსეთი საქართველო-
ში გზავნიდა ჭარს გენერალ ტოტლებენის სარდ-
ლობით. 1769 წელს დარიალის ხეობით ჩვენში შემო-
ვიდა ტოტლებენი რუსეთის ჭარით და 12 ზარბაზნით.
მაგრამ ტოტლებენმა და ერეკლემ ვერ გამონახეს მო-
ქმედების საერთო ენა და მათ შორის ჩამოვარდა უთან-
ხმოება, ტოტლებენი არ იყო დაინტერესებული სამცხე-
საათაბაგოს შეერთებით ქართლ-კახეთთან. ბოლოს
1770 წელს ერეკლემ და ტოტლებენმა პირველად გაი-
ლაშერეს ახალციხის მიმართულებით, მაგრამ აწყურ-
თან რომ მივიღნენ, ტოტლებენმა ვერ გაბედა ოსმალე-
ბის ჭართან შებრძოლება, მოულოდნელად დასტოვა
ერეკლე და წავიდა სურამისაკენ. ეს გარემოება იმით
იყო გამოწვეული, რომ ერეკლეს არ მიაჩნდა მიზანშე-
წონილად აწყურის გარემოცვა და ამაზე დროს და-
კარგვა. მას უნდოდა თავდაპირველად დაერტყა ახალ-
ციხეზე, სადაც გამაგრებული იყო მტრის მთავარი ძა-
ლები. ტოტლებენს კი აწყურის ციხის ზურგს უკან და-
ტოვება შეუძლებლად მიაჩნდა. ბოლოს ერეკლე მას
დასთანხმდა და რუს-ქართველთა ლაშქარმა აწყურის
ციხეს ალყა შემოარტყა. ამის შესახებ ერეკლე სწერდა
რუსეთის ვიცეპანცლერს გოლიცინს: „აწყურის ცი-
ხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, ამისათვის რომ
რაღან მტრის მამულში ვიყავით, უმჯობესად ეს ალ-
მოჩნდა — მათნი ქონებულნი, რომელნიც სოფლებში
სურსათი, ჰქონდათ, სულ ჩვენ მოგვევროვებინა და შემ-

დგომად მისია, უკეთუ უმჯობესი იქნებოდა, მივსულა-
ყავით ახალციხეზედ"-ო.

მესამე დღეს ალყაშემორტყმულ აწყურის შეცი-
ხოვნე ჭარს ახალციხიდან მოეშველა ოსმალებისა და
ლევების ჭარი, რომელსაც შეეძლო გარემომცველ რუს-
ქართველთა ჭარის მომწყვდევა. ტოტლებენი შეშინდა
და მაშინვე შეუდგა უკან დახევის სამზადისს. ამის შე-
სახებ ერეკლე სწერდა გოლიცინს: „მე მიველ და
ღრაფს დიდად ვევედრე და ჩემი თავი ვითა ერთი მი-
სისა კამანდის აფიცერი ეგრეთ კამანდაში ვაძლივე და
მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ"-ა. მაგრამ
ტოტლებენზე ასეთმა მუდარამ ვერ გასჭრა, მან რამდე-
ნიმეჯერ ზარბაზანი ესროლა აწყურის ციხეს და სურა-
მისაკენ გამობრუნდა.

პლატონიოს ელიანის სიტყვით, მაშინ ტოტ-
ლებენთან მისულა გიორგი ბატონიშვილი და უთქვამს:
„ღენერალო, სირცხვილია ამისთანა ღროს ღალატი მე-
ფისა“ — „არა მაქვს ბრძანება იმპერატრიცისა, რომ
შევება ჭარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარ-
გებლოდ“, უპასუხნია ტოტლებენს.

— „მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჭარსა
და უტეს სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენსკენ
იქნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ
იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა"-ო, უთქვამს გიორგი
ბატონიშვილს.

მარტოდ დარჩენილი ერეკლე არ შეუშინდა მრავალ
რიცხვან ასმალთა ჭარს და 1770 წელს იგი შეებრძო-
ლა ოსმალებს ასპინძასთან.

ამ ბრძოლაში ერეკლეს ჰყავდა 2000 კაცი, რომე-
ლიც გარშემორტყმული იყო ეჭვის ათასი მტრის ჭა-

რით. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ერექლე ოოგორც /გა-
მოცდილი სარდალი იჩენდა დიდ ნიჭისა და გამბეჭდული
ბას. ერექლემ კარგად იცოდა, რომ მარჯვე პოზიცია,
მოხერხებული საომარი აღვილი აუცილებელი საჭირო
იყო ასეთ უთანასწორო ბრძოლაში. ერექლემ ამ შემ-
თხვევაში გამოიყენა ასპინძის მაღლობები, სადაც ჩა-
საფრა თავისი მცირე ჯარი. შუა მაღლობები ერექლემ
დაიჭირა თავისი რაზმებით. მალე ამის შემდეგ ასპინ-
ძის გრძელი და ვიწრო ვაკე გაივსო თათრის ჯარით და
მტრის ჯარიდან ათასი ცხენოსანი ლეკი ხმალამოღე-
ბული გამოექანა იერიშის მისატანად. მას წინ მოუძღო-
და ბელადი კონტა, დაღუსტნის ცნობილი მეომა-
რი. ქართველთა ბანაკიდან მის წინააღმდეგ გაექანა
ხმალამოწვდილი ერექლე, რომელსაც მისღევდნენ
ხმალამოღებული სახელოვანი შვიდი ხევსური (ესე-
ნი იყვნენ ერექლეს პირადი მცველნი). ჩქარა ორივე
მხედარი ერექლე და კონტა ერთმანეთს ხმალ და ხმალ
დაეტაკნენ. ერექლემ მას ხმლის ერთი მოქნევით თავი
გაუპო და მოქლული კონტა ცხენიდან ჩამოვარდა.

ამ დროს გაისმა ერექლეს ძანილი: „ხმალი ამ წუნ-
კლებსო“. ქართველი ცხენოსნები გამხნევებული ერექ-
ლეს საოცარი მამაცობით, მიესია მტერს და დაიწ-
ყო ოსმალ-ლეკების ჯარის ულეტა. მტერმა დაიწყო და-
ხევა, ფიქრობდა მტკვარზე გასვლას და გაქცევას. მაგ-
რამ ერექლეს განკარგულებით ხიდი წინასწარ იყო
მტკვარზე ჩაშლილი. მტრის ლაშქარი სასოწარკვეთილე-
ბამ მოიცვა და პირდაპირ მდინარეში სცვიოდა, რომ
როგორმე მეორე ნაპირზე გასულიყო და თავი დაეღწია
განადგურებისაგან. ადიდებულ მტკვრის მორევში და-
იხრჩო მრავალი ოსმალ-ლეკები. მაგრამ გამარჯვებულ-

მა ერეკლემ ჯარის სიმცირის გამო ვერ შესძლო მტრის
შეტევაზე გადასვლა და უკანვე გამობრუნდა (ეს ბრძოლა იმავე
ლა მოხდა 1770 წლის აპრილში).

ამაზე დიდი საფრთხე ერეკლეს მმართველობის ბო-
ლო ხანებში ქართლ-კახეთს მოელოდა ირანის შაჰის
აღა-მაჰმად-ხანისაგან, რომელიც ერეკლესაგან მოითხოვ-
და რუსეთთან კავშირის გაწყვეტას და ირანსა და სა-
ქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგე-
ნას. ერეკლემ ამის შესახებ აცნობა რუსეთის მთავრო-
ბას და სთხოვა 1783 წლის ტრაქტატით დაპირებულ
დახმარების აღმოჩენა, მაგრამ ამაზე მან უარი მიიღო.
მაშინ ერეკლემ გარდასწყვიტა საკუთარი ძალით გა-
მკლავებოდა მოსალოდნელ საგარეო საფრთხეს.

ყველაფერი ეს კარგად იცოდა აღა-მაჰმად-ხანმა,
შეკრიბა 70.000 კაცი და გამოემართა საქართველოსა-
კენ. მდ. არეზზე მას მიეგება განჯის ხანი და ყაენი
მიაცილა ყარაბაღში. აზერბაიჯანის ხანები ერეკლეს გა-
დაუდგნენ და მორჩილება განუცხადეს ირანის მბრძა-
ნებელს. ამის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანი დაიძრა საქარ-
თველოსაკენ. შაჰმა ხელმეორედ მისცა წინადადება
ერეკლეს გაეწყვიტა კავშირი რუსეთთან და აღეარები-
ნა სპარსეთის მფარველობა. მაგრამ ერეკლე მაინც
უარზე იდგა. მაშინ აღა-მაჰმად-ხანი 35.000 მსუბუქი
ცხენოსნით გამოემართა თბილისისაკენ.

ცხრა ენკენისთვეს 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანი და-
ბანაკდა სოღანლულში, მტკვრის პირად. თბილისელების
უმრავლესობა უკვე იხიზნებოდა. ქალაქი კარგად იყო
გამაგრებული. ციხეებიდან ზარბაზნები მრისხანედ და-
ჰყურებდნენ სეიდ-აბადის მიდამოს, სადაც მტერი უნდა
შემოსულიყო. აღა-მაჰმად-ხანი განჯის კარით (ორთაჭა-



ლისკენ) შემოსვლას ვერ ბედავდა, გზის სივიწროებული
აშინებდა — ჯარი ფრთას ვერ გაშლისო. ერეკლემაცია
კარგად იცოდა, მაგრამ მაინც შავ-ნაბადისა და ოლე-
თის მთა ზარბაზნებით გაამაგრებინა, რომ მტერი იქი-
დან არ შემოეშვა.

10 სექტემბერს, ორშაბათ დილას, დაიწყო პირველი
დიდი ბრძოლა. მტერი კრწანისის მხრით გამოჩნდა და
წინ სწევდა თავის რაზმებს. შაპი ფრთხილობდა — ერეკ-
ლემ ქალაქში არ შემიტყუოს და ჯარი არ ამომიწყვი-
ტოსო: „მე კარგად ვიცი, ამბობდა შაპი, ერეკლე-ხანი
ნადირ-შაპის მოწაფეა და რამე მახეს დამიგებსო“. ამი-
ტომ აღა-მაპმაღ-ხანმა აღიდებულ მტკვარში ცხენით
გასცურა, გავიდა მტკვრის მარცხენა მხარეს და იქიდან
დაათვალიერა კრწანისის ველი და თბილისის ციხის
მდგომარეობა. როდესაც შაპი დარწმუნდა, რომ ეს გზა
იყო უშიშარი, უბრძანა ჯარს გადასულიყო შეტევაზე.

11 სექტემბერს ბრძოლა განახლდა, ერეკლეს გან-
კარგულებით ჯარი ასე იყო განაწილებული: მეწინავედ
კრწანისის ველზე დადგა ერეკლე 1500 კაცით, ქალაქის
პირას იდგა 2000 იმერელი, აბანოს კარებთან მეფე სო-
ლომონ 2000 კაცით, კოჭრის მთის გზას იცავდა ბატო-
ნიშვილი დავითი 4 ზარბაზნით და 400 კაცით. თვით
თბილისის ციხე გამაგრებული იყო 16 ზარბაზნით.
ჯარის ასეთი განაწილება იმით აიხსნებოდა, რომ ერეკ-
ლეს განზრახული ჰქონდა, თუ აღა-მაპმაღ-ხანი შეტე-
ვას დაიწყებდა, ქალაქში გამაგრებულიყო. მართლაც
ერეკლეს საიდუმლოდ მოსვლოდა ცნობა, რომ პირველ
შეტაკებაში დამარცხების შემდეგ შაპი დაშინდა, აპი-
რებდა თურმე აყრას და უკანვე გაბრუნებას. მაგრამ
მეორე ბრძოლის დაწყების წინა ლამეს შაპის მოსყი-

დულმა სომხის მელიქებმა თბილისიდან გააპარეს ჰა-
ტიმრად მყოფი სპარსეთის ელჩი, რომელმაც შეკვეთით
აცნობა ერეკლეს ჭარის სიმცირე და სისუსტე.

ამის შესახებ აღ. ჯამბაკუ რ-ო რბელიანი მო-
გვითხრობს: „მეფე ირაკლი, ამბობდა აღა-მაჰმად-ხანი,
ნადირ-შაჰის გაზრდილია, მე იმან ომი არსად არ დამი-
წყო, მომიყვანა თავის ქალაქის პირში, ორი დღე ძა-
ლიან ომი გვერდიდა და ვერა დავაკელი-რა; ეტყობა
ირაკლის დიდი ჭარი ჰყავს იმ ხევებში დამალული და
მე კი განგებ ცოტას მიჩვენებს, თორემ თუ ცოტა ჭარი
ჰყვანდეს, ამ საქმეს ვერ მიზამდა. მე ვხედავ, მეფე
ირაკლი ისეთ საქმეს მიპირებს, თუ არ წავედი, ბოლოს
ვინანებო.

„ელჩმა ფიცით დაარწმუნა, მეფე ირაკლის მაგოენი
ჭარი არა ჰყავს, რაც თქვენ გინახამთ, იმაზე მეტიო.
ექვსი ათასი მეომარი მიბოძე, აქეთი მხრის მოკლე გზე-
ბი ვიცი, ერთ-ერთს მოკლე გზაზე გადავივლი და მეფე
ირაკლის უკან მოვექცევი, აქედან თქვენ მიხვალთ და
შუაში მოვამწყვდევთ თავის ჭარით“-ო.

დაიმედებულმა შაჰმა 11 სექტემბერს გადასწყვიტა
გადასულიყო შეტევაზე და 5000 კაცი გაგზავნა თბი-
ლისზე უკან მოსავლელად. თვითონ შაჰი კი თავისი
ჭარით გადავიდა შეტევაზე. სპარსელმა ჭარმა უკანიდან
შემოუარა თბილისს, ავიდა მთაზე და მიუახლოვდა ცი-
ხის ზარბაზნებს. ამან დააფრთხო და არევ-დარევა გა-
მოიწვია ქალაქში მდგომ ჭარში და სოლომონ მეფეს
საქმე წაგებული ეგონა. მან თავისი ჭარი მოხსნა პოზი-
ციებიდან და დაიძრა თბილისიდან. კოჭრის გზაზე
მდგომმა დავით ბატონიშვილმაც დასტოვა თავისი პო-
ზიცია, ზარბაზნები ხევში გადაყარა და კახეთისაქენ

გაეშურა. ამასობაში აღა-მაჭად-ხანის მთავარმა ძალები მა შეუტიეს ერეკლეს ლაშქარს კრწანისის ველზე. ამასთან ველად მტერს ეკვეთა ითანე ბატონიშვილის რაზმი, რომელმაც მტრის შუა გული გაარღვია. ერეკლემ ითანეს მიაშველა ვახტანგი, რომელსაც თან ახლდნენ სამასი რჩეული ვაჟკაცნი არაგველნი და ფშავ-ხევსურნი.

ომი გაცხარდა და ქართველებმა რამდენიმე დროშაც მოსტაცეს მტერს. შაპი მალლიდან დაჰყურებდა და ქართველების გმირობით გაოცებული ამბობდა თურმე: „ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს და ვერ წარმოვიდგენდი ამისთანა გულოვანს და გმირულს ლაშქარს“-ო.

ეს იყო ის წამი, როდესაც არაგველები და ფშავ-ხევსურები მტერს ეკვეთნენ:

„და გარდიშერეს პირს-ჯვარი...

ვაჟკაცებრ ხმალი იშიშვლეს...

და შავარდენებრ მივარდნენ

სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!

შეპსძრეს... გაჰთანტეს, მარამა

ზედ თავიც თვისი დააკლეს!“

(გრ. ორბე ლიანი).

ასეთ მეღვარ წინააღმდეგობას ვერ გაუძლო აღამაჭ-მად-ხანის მეწინავე რაზმმა და უკან დაიხია. მაშინ შაპიმ ახალი ჯარი მოაშველა. ქართველები გმირულად იბრძოდნენ და როდესაც შაპმა დაინახა, რომ ქართველთა ძალა შესუსტდა, სპარსელთა ლაშქარმა დაიწყო ვახტანგისა და ითანეს რაზმის უკან შემოვლა, ირგვლივ შემორტყმა, რომ მათთვის გზა შეეკრა. ეს მეტად სა-

შიში იყო, რადგანაც მოსალოდნელი იყო მთელი ქაზბეკი
მის ტყვედ ჩავარდნა მტრის ხელში.



ამ დროს

„რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამა-პაპურად
და დაერივნენ თავისებურად!“

(ნ. ბარათაშვილი).

გააპეს რკალი და მეფე ერეკლესთან მივიღნენ. სა-
ლაშო ეამს შეიქმნა ხელჩართული ომი სეიდ-აბადის ბო-
ლოს, სადაც ერეკლე იდგა. მოხუცებული ერეკლე (ის
ამ დროს 75 წლისა იყო) ხმალ ამოწვდილი შუაგულ
ომში შეიჭრა და თავგანწირულად იბრძოდა, რომ სი-
ცოცხლე შეეწირა მამულისათვის.

ბრძოლით თავდავიწყებულ ერეკლეს სპარსელები-
საგან მოელოდა ტყვედ შეპყრობა, მაგრამ მას ქართვე-
ლი ცხენოსნები დროზე მიეშველნენ (რჩეული ქართვე-
ლი ცხენოსნები) და ისსნეს განსაცდელისაგან. თითქმის
მთელი ქართველი ლაშქარი გაწყდა და მეფე ერეკლე
ძალით გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან.

ალ. ორბელიანის სიტყვით: „როდესაც მეფე
ირაკლი ავლაბრის ხიდის თავში მივიდა, მან შუა ხიდზე
ცხენი გამოატრიალა და დაიძახა: — «ნეტა სად მივდი-
ვარ? — წავალ და მეც მოვკვდები ამ ქალაქის ხალხში
და იმათ ვნებას მე ვერ ვნახამო». მაგრამ ივანე მუხ-
რან-ბატონმა მეფის ირაკლის ცხენს ლაგამზე ხელი
უტაცა და გულმოკლული მეფე საჩქაროდ გაარბენინა
ხიდზე და წაიყვანეს საგურამოსაკენ.

როდესაც მახათას ძირში მივიღნენ, ერეკლე თურმე
მწარეთ მოთქვამდა:

ცარიცალი
შპს „იმპერია“

„ოჰ ღმერთო, რასა ვხედავ და ან რა ხმა მესმის? ჩემო საყვარელო შვილებო, მე თქვენს ამალლებას ვცდილობდი, მე თქვენის ბედნიერებისათვის ვზრუნავდი, თქვენი მცირე მწუხარება ჩემთვის სასიკვდილო იყო და სისარული ბედნიერება. ნაცვლად თქვენის დღესასწაულისა, დღეს საშინელება ტრიალებს თქვენზე, დღეს თქვენი მწარე ტირილი ზეცაში ღალადებს. ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო მეგობრებო, ჩემო საყვარლებო. მე თქვენთვის უნდა მომკვდარვიყავ და თქვენ ჩემთვის იხოცებით, აბა რაღას მეფე ვარ, რით დაგიფაროთ?“

აქედან ერეკლე თავისი ამალით გაიხიზნა მთიულეთში. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო. ყაენმა განიზრახა ერეკლესთან მორიგება იმ პირობით, თუ ის აღიარებდა სპარსეთის მორჩილებას. მაგრამ რადგანაც ერეკლე ამაზე არ დასთანხმდა, ამიტომ აღა-მაჰმად-ხანმა გადაწვა მთელი თბილისი და გაბრუნდა სპარსეთში.

აღა-მაჰმად-ხანთან ლაშქრობამ დამტკიცა, მიუხედავად ერეკლეს პირადი გმირობისა და დიდი სამხედრო ნიჭისა, ფეოდალური წყობილების უვარვისობა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის საქმეში. ცალკეულ საერისთაოების გამგებელი ბატონიშვილები და მსხვალი ფეოდალები უპასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სახელმწიფოს დაცვის საქმეს. მათ შორის ადგილი ჰქონდა პირად ანგარიშებს, ინტრიგებს და ყველაფერი ეს ხელს უშლიდა მეფე ერეკლეს სამშობლოს თავდაცვის საქმეში. მაგალითად, კრწანისის ბრძოლის დროს ბა-

ტონიშვილმა იულონმა არც კი მოაშველა ჯარი თავის
მამას. ტახტის მემკვიდრე გიორგი იმყოფებოდა ჭარელი და ლავში და იქ არხეინად განისვენებდა და სხვა.

უველაფერი ეს აიხსნებოდა ბატონყმური სახელმწი-
ფო აპარატის უვარებისობით და მეფის ცენტრალური
ხელისუფლების სისუსტით. მაგრამ მიუხედავად ამისა
ერეკლემ თავისი მამაცობით, სამხედრო საქმის დიდი
ცოდნით და ტაქტიკით მაინც შესძლო ქართველი ხალ-
ხის ეროვნული ინტერესების დაცვა და ჩამორჩენილი
სპარსეთის ბატონობისაგან თავისი ქვეყნის გადარჩენა.
ამის გამო ქართველ ერის ხსოვნაში იგი დაუგიშყარია,
როგორც დიდი სარდალი და გმირი მეფე.

თავის სიცოცხლეში ერეკლეს გადაუხდია 64 დიდი
ომი და თითქმის ამდენჯერვე გაუმარჯვია წვრილ-
წვრილ შეტაკებებში. გასაკვირველია ამასთანავე, რომ
ამ ბრძოლებში ერეკლეს არც ერთი ჭრილობა არ მიუ-
ღია, თუმცა იგი ყოველთვის მოწინავე რაზმებში იბრ-
ძოდა. ეს აიხსნება მისი ხელის და თვალის არაჩვეუ-
ლებრივი სისწრაფით.

ამდენ ომებში ერეკლე ორჯერ დამარცხდა და ისიც
მოღალატური გამცემლობით. ერთი იყო ჰაჯი-ჩელების
პირველი შეტაკების დროს, როდესაც ერეკლეს გადაუდ-
გნენ აზერბაიჯანის ხანები და მეორე აღა-მაჰმადხანთან
კრწანისის ველზე, ყარაბაღელ სომეხ მელიქების გამ-
ცემლობის გამო. მაგრამ ორივე ეს უბედური ომიც
მდიდარია გმირობისა და თავდადების ეპიზოდებით,
რომელნიც მუდამ აღელვებდნენ სამშობლოსათვის მე-
ბრძოლ ქართველ ახალგაზრდობას.

2c

109/100L



1798 წელს 11 იანვარს ქალ. თელავში გარდაიცვალა
მეფე ერეკლე და მას მგლოვიარე ქართველი ახალქართველი
ასე მოუწოდებდა:

„აღსდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია,
გრძლად ძილის ჩვეულ როდი ხარ,
მოგვიხმე უნჯნი ყმანია,


არ გნახოს მტერმან ძაბუნად,
ვჰსდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია,
ვართ ბრძოლად მათდა მოსრულნი,
ზოგთაგან ოთხნი ძმანია“.

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ს. კაკაბაძე

სტამბის შეკვეთის № 597. ტირაჟი 2000 ეგზ. უმ 6647.

სტამბა გ—ბა „ზარია ვოსტოკა“ რესთაველის გამზ. № 36.

3060 2 856.



С. Макалатия

Геройство и мужество царя Ираклия второго
(На груз. языке)

Грузинское Краеведческое О-во.
Гор. Тбилиси